საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-397

30/05/2018

ქ. თბილისი

შპს „ზმ“-ს ქ. ონში სასარგებლო წიაღისეულის (თაბაშირის ქვის) სამსხვრევი დანადგარის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ზმ“-ს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ონში საკუთარ ნაკვეთზე სასარგებლო წიაღისეულის (თაბაშირის ქვის) სამსხვრევი დანადგარის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ქ. ონში. შპს „ზმ“-ს მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 88.18.22.105). უახლოესი დასახლებული პუნქტი წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად დაშორებულია 400 მეტრით, თუმცა სამინისტროს მიერ, შესაბამისი საკადასტრო ინფორმაციის გადამოწმებით, დასახლებული პუნქტი მდებარეობს საწარმოდან 115 მეტრის დაშორებით. დასახლებულ პუნქტსა და დაგეგმილ საქმიანობას შორის ფუნქციონირებს ხის გადამამუშავებელი საამქრო. პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას და გამოყენებული იქნება არსებული გზა.

თაბაშირის ქვის მსხვრევა განხორციელდება თანამედროვე ტიპის სამსხვრევი დანადგარით. ქვის მსხვრევა განხორციელდება უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესით. გადამუშავების პროცესი არ მოითხოვს წყლის გამოყენებას, შესაბამისად საწარმოო-ჩამდინარე წყლების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი. მსხვრევის შედეგად მიიღება მცირე ზომის (დაახლოებით 5-8 სმ.) ქვა, რომელიც შემდგომ შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამშენებლო მასალების წარმოებისათვის.

სამსხვრევი დანადგარი განთავსდება 418,00 კვ/მ. მიწის ფართობზე და დაიკავებს 50 კვ.მ. მიწის ფართობს. დაგეგმილია 30 ტ/სთ თაბაშირის გადამუშავება, წელიწადში 30000 ტონა. სამსხვრევი დანადგარი შედგება შემდეგი ძირითადი მოწყობილობებისგან: ქვის სამსხვრევი დანადგარი ერთი ერთეული და ლენტური ტრანსპორტიორი ერთი ერთეული.

ვინაიდან საწარმოს განთავსების ტერიტორია წარმოადგენს არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთს, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს. ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ზედაპირული წყლის ობიექტი. ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება არ არის დაგეგმილი.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდინარე რიონისა და ჯეჯორას შესართავთან. მდინარე რიონიდან დაშორებულია 36 მეტრით ხოლო მდინარე ჯეჯორადან 82 მეტრით. საწარმო, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიიდან დაშორებულია 145 მეტრით.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე თაბაშირის მინერალის შედარებით დაბალი სიმკვრივიდან გამომდინარე, მისი მსხვრევისას, შედარებით დაბალი იქნება ხმაურის გავრცელება და ატმოსფერული ჰაერის მტვერით დაბინძურება. რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალებებს, რომლითაც მოხდება მზა პროდუქციის ტრანსპორტირება, შესაძლებელია გამოიწვიოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მავნე ნივთიერებით. საწარმოს მოწყობის ეტაპზე შესაძლებელია ნარჩენების წარმოქმნა, შესაბამისად საჭიროა ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება.
ტერიტორიის მიმდებარედ, მდინარე ჯეჯორას მარცხენა ნაპირზე, დაახლოებით 150 მეტრში მდებარეობს მუნიციპალური ნაგავსაყრელი.
ვიზუალური შეფასებით ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. საწარმო არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს წითელი ნუსხით გათვალისწინებული სახეობა. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის 5 პუნქტის 5.1. ქვეპუნქტის, და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ზმ“-ს მიერ წარმოდგენილი ქ. ონში სასარგებლო წიაღისეულის (თაბაშირის ქვის) სამსხვრევი დანადგარის მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „ზმ“ ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ზმ“-ს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ზმ“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ონის მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი